

დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური  
საბჭოს დადგენილებით N33.  
„08—05—“2018 წ. ოქმი N 8.

## სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია არეგულირებს სსიპ - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის დადგენას, რათა უნივერსიტეტმა მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა ის ოპტიმალური რაოდენობა, რომლისთვისაც პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეძლებს ხარისხიანი პროფესიული განათლების მიცემას უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

წინამდებარე მეთოდოლოგია განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად

1. სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობა, სასწავლო გარემო, აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკურიზაზა, პრაქტიკის ობიექტები და პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა.

2. არსებობს სამი ტიპის სასწავლო გარემო - A, B და C. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეში იყოს განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და C; B და C ან A, B და C.

3. A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად, აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, საჭიროების შემთხვევაში, დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება სწავლების შერჩეული მეთოდის გამოსაყენებლად

4. B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და

რაოდენობის კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე 1 კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსელური პრინტერთა და დემონსტრირების საშუალებით (მაგ. პროექტორი). B გარემოში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების (მაგიდების, სკამების) ნებისმიერი განლაგება.

5. C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის .აღჭურვილობის ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების შესაბამისად.

6. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

6.1. A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

6.2. B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.

6.3. C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

7. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

9. საწარმოო პრაქტიკის მოდულები ითვალისწინებენ სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული შესაბამისი მემორანდუმების საფუძველზე.

10. 20 პროფესიულ სტუდენტზე უნივერსიტეტს ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი.( საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბერი ქ. თბილისი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ მუხლი 8)

11. შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა (პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის გათვალისწინებით) განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით;

12. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დასადგენად:

12.1. სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამების შემთხვევაში ორ ცვლაში სასწავლო პროცესის წარმართვის შემთხვევაში შესაძლებელია გათვალისწინებული ადგილების რაოდენობის გაორმაგება;

ა. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო A გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12

საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ A გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;

ბ. ზოგიერთი მოდულის განხორციელებისათვის, როგორცაა „ინფორმაციული წიგნიერება“, საჭირო ერთი სასწავლო B გარემოს არსებობის შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ B გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;

გ. მოდულის განხორციელებისათვის საჭირო ერთი სასწავლო C გარემოს შემთხვევაში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ C გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს;

13. გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ, დადგენილი მეთოდოლოგიით იღებს დაწესებულება და ასახავს შესაბამის დოკუმენტში

14. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინება პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა, შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნები, ასევე მოქმედი პროგრამიას შემთხვევაში - კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის შედეგები.

